

3. აფხაზეთის ასსრ კანონი “აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის თაობაზე” კანონში დამატებათა შეტანის შესახებ

“აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ” კანონის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი:

“კონკრეტული გარემოებისდა მიხედვით, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია შემოიღოს მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი საგანგებო მდგომარეობის ცალკეული ელემენტების გამოყენებით, სამი დღე-ღამის განმავლობაში აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს განსახილველად შემდგომი შემოტანით”.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1992 წლის 26 თებერვალი.

(გაზეთი “აფხაზეთის ხმა”, # 27, 1992 წლის 29 თებერვალი)